ხელშეკრულება № 02-122203

ინტერნეტ მოდემის მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2011წ

1. ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 მარტის №80 დადგენილებით დამტკიცებული „შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი", შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურეობის ჩამონათვალი, საქონლის/მომსახურების დასახელება: №33 კავშირგაბმულობა (შიდა საქალაქო, საქალაქთაშორისო, მობილური, ინტერნეტი, ფაქსი)

ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:
ერთის მხრივ შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კვაშილავას სახით და მეორეს მხრივ შპს „მაგთიკომი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი")

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან მომსახურების შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით), კერძოდ, ინტერნეტ-მოდემით მომსახურების გაწევა.
2.2შესყიდვის ობიექტია:

55 (ორმოცდათხუთმეტი) ცალი EVDO USB – ინტერნეტ-მოდემის მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა:
3.1.2 ერთ ცალ EVDO USB - ინტერნეტ-მოდემზე ყოველთვიური (30 დღე) სააბონენტო გადასახადი შეადგენს 45(ორმოცდახუთ) ლარს
3.2 ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს 29700 (ოცდაცხრაათასშვიდასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს დეფექტებს და უპასუხებს შემსყიდველის მოთხოვნას.
4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

5. მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის (ინტერნეტ–მოდემის მომსახურება) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან და ანგარიშსწორებიდან არაუგვიანეს 1 დღისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

6.2 ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

6.2.1. ინტერნეტ-მოდემის მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6.2.2. გადასახადის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინასწარი გადახდის ბარათების მეშვეობით, ასევე უნაღდო ანგარისწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს :

7.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან (ინსპექტირება);

7.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2 გადაიხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი 45(ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით.

7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს დამზადებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

7.4.2 შემსყიდველის მიერ ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის (45 ლარი) გადახდის შემთხვევაში გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

7.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

7.4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მხარეთა პასუხისმგებლობის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება მისი საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 3 იანვრიდან და მოქმდედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ჩაითვალოს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.4 ხელშეკრულების დანართი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.7 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

13.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.9 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.10 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.11 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

<u>შემსყიდველი:</u>

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.№5

საქართველოს ლიბერთი ბანკი

ანგ: **GE77LB0113123325230012**

ს/კოდი: 220101480 **(LBRTGE22)**

დირექტორი ირაკლი კვაშილავა ----------

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „მაგთიკომი"

მისამართი – ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№5

საიდენტიფიკაციო კოდი 204876606

სს „ვითიბი ბანკი" ბანკის კოდი **UGEBGE22**

ა/ა **GE73VT6600000000423607**

გენერალური დირექტორის მოადგილე ანდრია ზოდელავა ----------